ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N118-ში
არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ 01.13.05.002.054) დაპროექტებული სავაჭრო ცენტრის არქიტექტურული
პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის
უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28

იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

დამკვეთი: შპს ,,ევროსტილი“

პროექტის მთავარი არქიტექტორი: ივანე მირცხულავა

ექსპერტი: ირინე ანთელავა

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N118-ში (ს.კ 01.13.05.002.054) დაპროექტებული სავაჭრო ცენტრის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
- კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
- სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
- გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
- გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
- მისაწვდომობის შეფასებას;
- გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
- სახურავის ანაწყობების შეფასებას;
- ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
- ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
- წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას; ასევე საექსპერტო დასკვა მოიცავს:
- ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასებას.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად ექსპერტიზისათვის გადმოცემულია სავაჭრო ცენტრის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

- ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე (აღნიშნული მოიცავს: თავფურცელს; ფურცლების ჩამონათვალს; პირობით აღნიშვნებს; დაგეგმარების მიზნის აღწერას; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს)
- შენობა-ნეგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს
- მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმას – 1:500 მ
- მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმა (გენგეგმა)
- შენობა-ნაგებობების განთავსებასა და სიმაღლეებს
- გეგმებს, ჭრილებს, ფასადებს
- დეტალების ფრაგმენტულ ნახაზებს
- დაკავებულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასავლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; მისაწვდომობის სვლაგეზს; ცეცხლმედეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავებს; გამოყენებულ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებს)
- შენობის ვიზუალიზაციას

შენიშვნა:

- *მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე;*
- *დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.*
- *სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა დაცვით.*
- *უსაფრთხოების ზომები მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად.*

გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 47 მუხლით განსაზღვრულ არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და სრულად იძლევა ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა:

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო შენობა მდებარეობს ქ. თბილისში აკაკი წერეთლის გამზირი N118
მიწის ნაკვეთის ს.კ 01.13.05.002.054
ტერიტორიაზე სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზების მხრივ მოხვედრა შესაძლებელია სერვიტუტით დატვირთული ტერიტორიიდან (იხ. საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები)
საპროექტო შენობა წარმოადგენს კომერციული დანიშნულების შენობას (სავაჭრო ცენტრს) სადაც განთავსდება საყოფაცხოვრებო საქონელი
გეგმაში შენობა მართკუთა ფორმისაა ზომებით 34.7 X 58.70 მ.
შენობის ძირითადი კარკასი და გადახურვის კონსტრუქცია წარმოადგენს ლითონის ანაკრებ ელემენტებს, რომელიც დამონტაჟებულია რკინაბეტონის წერტილოვან საძირკველზე.
შენობის შეფუთვა მოხდება სენდვიჩ პანელებით რომლებიც აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს (გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობა იხ. სერთიფიკატები) ასევე აგდახურვა მოხდება სენდვიჩ პანელებით.
სახურავიდან წყლის გადაყვანა მოხდება ორგანიზებული გადაყვანის მეთოდით წყალსარინი მილების საშუალებით საპროექტო ტერიტორიაზე
გენგეგმის მიხედვით ტერიტორიაზე მდებარეობს ღია ავტოსადგომი, უშუალოდ შენობასთან მოსახვედრად გამოყოფილია საფეხმავლო ტროტუარი, ასევე შენობაში მოხვედრა შესაძლებელია ღია ავტოსადგომის მხრიდანაც.

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის ჯგუფი შეესაბამება 302-ე ქვეთავს.

პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობა:

- **სავაჭრო ჯგუფი სვ** (მაღაზია) შეესაბამება 309.1-ე ქვეთავს.
- **დამხმარე ჯგუფი დს** სახანძრო ტუმბოს და ავზის ოთახები. აღნიშნული შეესაბამება 312.1 ქვეთავს.

რაც შეეხება დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორს, პროექტის მიხედვით, თითოეული სივრცისთვის მინიჭებული მაჩვენებელი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:

- **სვ ჯგუფისთვის** ----------2.8 მთლიანი
- **დს ჯგუფისთვის** ----------27.9 მთლიანი

ზემოაღნიშნული ფაქტორის მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა თითოეული სივრცისთვის (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე) და მიღებულია შემდეგი მაჩვენებლები:

სვ ჯგუფისთვის:

- სავაჭრო ფართი 0.00 ნიშნულზე -1697.2კვ.მ/2.8დ.დ.ფ=607დ.დ

დს ჯგუფისთვის:

- სახანძრო ტუმბოს და ავზის ოთახები 0.00 ნიშნულზე 75.1კვ.მ/27.9დ.დ.ფ=3დ.დ

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- საპროექტო შენობების კონსტრუქციის ტიპი შერჩეულია ფართობისა და სიმაღლის გათვალისწინებით და ობიექტების კონსტრუქციის ტიპად მიღებულია II – B.
- ვინაიდან მთლიანი შენობა უზრუნველყოფილია ავტოსაშხეფი სისტემით, 506.3 ქვეთავის შესაბამისად ფართობის მატება დასაშვებია.
- შენობების ძირითად სტრუქტურულ ჩარჩოს, იატაკის და სახურავის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს 601-ე ცხრილის შესაბამისად არ მოეთხოვებათ ცეცხლმედეგობის ხარისხი;
- რაც შეეხება შენობების გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც სრულად შეესაბამება 602-ე ცხრილის მოთხოვნებს.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- წარმოდგენილი დაკავებულობების და კოსნტრუქციული ტიპის (**II -B**) გათვალისწინებით საპროექტო შენობის სიმაღლე (შესაბამისად სართულიანობა) და ფართობი აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს;

- შენობის სიმაღლე მიწის დონიდან არის 9.40 მეტრი, ხოლო ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკები მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 13.70 მ-ზე ანუ 23.00 მ-ზე დაბლა და შესაბამისად, „წესების“ განმარტების მიხედვით, საპროექტო შენობა არ არის მაღლივი.

5. ცეცხლისა და კვამლისაგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- ვინაიდან საპროექტო შენობა მიწის დონიდან ერთ სართულიანია, ფასადებზე ღიობების შვეული გამიჯვნა არ არის სავალდებულო - 705.2.1 პუნქტის შესაბამისად.
- წყლის ავზის და სატუმბი ოთახები დანარჩენი სივრცეებისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ზღუდეებით სადაც მოწყობილია 90 წთ-იანი ცეცხლმედეგობის კარები, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;
- შენობებში არსებული შახტების (საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 1 საათიანი, რაც შეესაბამება 713.4. ქვეთავის მოთხოვნებს;

შენიშვნა:

- *შენობის ელემენტების, კომპონენტების ან ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი შესაბამისი ტესტის პროცედურების ან წესების მიხედვით უნდა განისაზღვროს. თუ მასალები, სისტემები ან მექანიზმები, რომლებიც არ შემოწმებულა როგორც ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ანაწყობის ნაწილი და ჩართულია შენობის ელემენტში, კომპონენტში ან ანაწყობში, მაშინ მშენებლობის ნებართვის გამცემი/ ზედამხედველი ორგანოსთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკმარისი მონაცემები, რომლებიც ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს ადასტურებს. ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შენობის ელემენტებში, კომპონენტებში ან ანაწყობებში გადაბმებისა და გაყვანილობების დასაცავად გამოყენებული მასალები და მშენებლობის მეთოდები არ უნდა ამცირებდეს ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს. შენობის ელემენტებისთვის, კომპონენტების ან ანაწყობებისთვის მოთხოვნილი ცეცხლმედეგობა დასაშვებია განისაზღვროს 721-ე და 722-ე ქვეთავების შესაბამისად.*

- შახტის შემომზღუდავები, რომლებშიც გავა არხები და საჰაერო ღიობები, დაცული უნდა იყოს ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით, თანახმად 717.5.3 პუნქტისა.
- *ცეცხლის ფარსაკეტს სულ მცირე 1,5 სთ. ცეცხლმედეგობის ხარისხი უნდა ჰქონდეს, თანახმად 717.3.2.1 პუნქტისა.*
- *კვამლის ფარსაკეტიდან კვამლის გაპარვის ხარისხი I და კლასს უნდა შეესაბამებოდეს, თანახმად 717.3.2.2. პუნქტისა. 3,0 მ ან ნაკლები ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მქონე გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი უნდა განისაზღვროს ორივე მხრიდან ცეცხლის ზემოქმედების მიხედვით.*

6. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

❖ ავტოსაშხეფი სისტემა:

- 903.2.7 ქვეთავის შესაბამისად, სვ ჯგუფის დაკავებულობები საჭიროებს ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვას.

❖ სახანძრო მილდგარების სისტემა:

- 905.3.1 პუნქტის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთა ან დაბლაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი დონიდან. შესაბამისად წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საპროექტო შენობები არ საჭიროებს სახანძრო მილდგარებით აღჭურვას.

❖ ხელის ცეცხლმაქრები:

- შენობაში მოეწყობა ხელის ცეცხლმაქრები, თანახმად 906.1 პუნქტისა;
- ცეცხლსაქრობები განთავსებულია ისეთი ადგილმდებარეობით, რომ მათთან მიდგომა შენობის ნებისმიერი მონაკვეთიდან არ საჭიროებს 23 მეტრზე მეტ მანძილს.

❖ სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები (გათვალისწინებულია 907 ქვეთავის შესაბამისად):

- იმის გათვალისწინებით, რომ შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, შენობაში განთავსდება ორი სახანძრო განგაშის კოლოფი - გასასვლელებთან, თანახმად 907.2 და 907.2.7 პუნქტებისა.
- 903.3.1.1.1 პუნქტის თანახმად, ავტოსაშხეფი სისტემის დამონტაჟება საჭირო არ არის ოთახებში და ფართობებზე (მათი შემცველობიდან გამომდინარე), რომლებიც დაცულია 907.2 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ცეცხლის აღმომჩენი ავტომატური სისტემით. ასეთ ოთახს საპროექტო შენობაში განეკუთვნება სახანძრო ტუმბოს და გენერატორის ოთახი, სადაც დამონტაჟდება ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი.
- შენობაში განთავსდება არხის კვამლაღმომჩენები, რაც შეესაბამება 907.2.13.1.2 პუნქტის მოთხოვნას. არხი კვამლაღმომჩენები უნდა განთავსდეს შემდეგ ადგილებში: 1. ჰაერის კონდიცირების თითოეული სისტემის რეცირკულაციური ჰაერის და ჰაერგამწოვ მთავარ არხში, რომელშიც ჰაერის მოძრაობის სიჩქარე 0,94 მ3/წმ-ს აღემატება. ასეთი აღმომჩენები უნდა მოთავსდეს ბოლო არხის შესასვლელში ქვედა მიმართულებით ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათთან მიდგომა მომსახურების მიზნით; 2. ყველა მისაერთებელთან, რომლებიც ერთმანეთთან აერთებს რეცირკულაციური ჰაერის არხს ან ჰაერის კონდიცირების სისტემის არხსა და შვეულ არხს ან დგარს, რომელიც ორ ან მეტ სართულს ემსახურება.
- შენობაში უზრუნველყოფილია საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა, რაც შეესაბამება 907.5.2.2. პუნქტის მოთხოვნას.

- შენობაში უზრუნველყოფილია მხედველობითი განგაშის შეტყობინების მოწყობილობები საერთო გამოყენების ფართობზე (სავაჭრო ფართი) რაც შეესაბამება 907.5.2.3.1 პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნები:

• სახანძრო განგაშის სისტემა დამკვეთლებს შეტყობინებებს უნდა აწვდიდეს 907.5 პუნქტის შესაბამისად. სახანძრო განგაშის სისტემა უნდა აქტიურდებოდეს საშხეფი წყლის ჭავლის მართვის მექანიზმებით, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფებით, ცეცხლის ავტომატური აღმომჩენებით, ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემებით. საჭიროა ხმოვანი განგაშის შეტყობინების დანადგარების განთავსება, რომელთა მიერ გამოცემული ბგერა მკვეთრად განსხვავებული იქნება.

• სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები არ უნდა განთავსდეს თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ -ზე მეტი დაშორებით. ისინი ისე უნდა განთავსდეს , რომ უახლოეს კოლოფთან მისასვლელი მანძილი 60 მ -ს არ აღემატებოდეს .

• შვეულად გაზომვისას , იატაკის დონიდან სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფების გასააქტიურებელ სახელურამდე ან ბერკეტამდე, არანაკლებ , 1,0 მ და, არაუმეტეს , 1,4 მ უნდა იყოს .

• სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები უნდა იყოს წითელი ფერის.

• სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები ყოველთვის ხელმისაწვდომი და ადვილად დასანახი უნდა იყოს.

• სახანძრო განგაშის სისტემა უნდა დააყენონ NFPA 72-ის ან საქართველოში აღიარებული სხვა სტანდარტის შესაბამისად.

• სახანძრო განგაშის სისტემის ძირითადი და დამატებითი ელექტრომომარაგება უნდა განხორციელდეს NFPA 72-ის შესაბამისად.

• სახანძრო განგაშის სისტემის სამუშაო ნახაზები განსახილველად უნდა წარედგინოს სისტემის დაყენებამდე. სამშენებლო დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ (მაგრამ არა მხოლოდ) ინფორმაციას: 1. იატაკის გეგმა, რომელშიც მითითებულია ყველა ოთახის გამოყენება/დანიშნულება; 2. სიგნალის გამომცემი მექანიზმების მდებარეობა; 3. განგაშის შეტყობინების მოწყობილობების მდებარეობა, მათ შორის, კანდელას (სინათლის ძალის ერთეული) ხარისხები ვიზუალური განგაშის შეტყობინების დანადგარებისათვის; 4. სახანძრო განგაშის საკონტროლო ერთეულის მდებარეობა, ტრანსპონდერები და შეტყობინების ელექტრომომარაგება; 5. გამოსაცხადებელი მოწყობილობა; 6. ელექტროკავშირები; 7. ბატარეებთან დაკავშირებული გამოთვლები; 8. გამტარის ტიპი და ზომები; 9. ვოლტაჟის ვარდნასთან დაკავშირებული გამოთვლები; 10. მწარმოებლების მონაცემების საცნობარო ფურცლები, რომლებიც შეიცავს მოდელის ნომრებსა და მოწყობილობის, მექანიზმებისა და მასალების შემოწმების შესახებ ინფორმაციას; 11. ჭერის სიმაღლისა და კონსტრუქციის დეტალები; 12. სახანძრო უსაფრთხოების მაკონტროლებელი ფუნქციების თანაქმედება; 13. საზედამხედველო სადგურის კლასიფიცირება.

❖ კვამლის საკონტროლო სისტემები:

- არხები უნდა გაიმიჯნოს ცეცხლმედეგი ზღუდეებით ან თარაზული ანაწყობებით, ან ორივეთი ერთად.
- შახტის შემომზღუდავები, რომლებშიც გავა არხები და საჰაერო ღიობები, დაცული უნდა იყოს ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით, თანახმად 717.5.3 პუნქტისა.

შენიშვნა:

- *საკონტროლო სისტემების ტიპების, ამ სისტემების მუშაობის მეთოდების, მათი უზრუნველმყოფი სისტემებისა და აგების მეთოდების რაციონალური ანალიზი უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტებს და უნდა მოიცავდეს ქვემოთ მითითებულ საკითხებს (მაგრამ არა მხოლოდ მათ): 1. სისტემა ისე უნდა დაგეგმარდეს, რომ მაქსიმალურმა ჩვეულებრივმა ან უკუთვითწევამ უარყოფითად არ იმოქმედოს სისტემის შესაძლებლობებზე. მაქსიმალური თვითწევის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს სიმაღლე ზღვის დონიდან, განთავსების სიმაღლე, მეტეოროლოგიური მონაცემები და შიგა ტემპერატურები. 2. დაგეგმარებისას გათვალისწინებული ხანძრით გამოწვეული ენერგია და გაფართოება უნდა გაანალიზდეს 909.9 ქვეთავის შესაბამისად. სისტემის დაგეგმარებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ამგვარმა ზემოქმედებებმა უარყოფითად არ იმოქმედოს სისტემის შესაძლებლობებზე. 3. დაგეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ქარის უარყოფით ზემოქმდება.*
- *დაგეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს გათბობის, განიავებისა და ჰაერის კონდიცირების სისტემების გავლენა კვამლისა და ცეცხლის გავრცელებაზე. ანალიზში უნდა აისახოს სისტემაში განხორციელებული ყველა ცვლილება. დაგეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ცეცხლის ზემოქმედება გათბობის, განიავებისა და ჰაერის კონდიცირების სისტემებზე. 5. დაგეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს დაბალი ტემპერატურის ზემოქმედება სისტემებზე, საკუთრებასა და ადამიანებზე. ჰაერის შემწოვ-გამწოვები ისე უნდა განთავსდეს, რომ თავიდან აიცილონ თოვლის ან ყინულის საცობი. 6. კვამლის აქტიური ან პასიური საკონტროლო სისტემების ყველა ნაწილს უნდა შეეძლოს უწყვეტად მუშაობა ცეცხლის აღმოჩენის შემდეგ, არანაკლებ, 20 წუთის განმავლობაში ან შენობიდან გასვლისთვის გამოთვლილ დროზე 1,5-ჯერ მეტი ხნის განმავლობაში (რომელიც ნაკლები იქნება).*

გასათვალისწინებელი საკითხები:

- *არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე.*
- *უკანონოდ უნდა ჩაითვალოს შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის.*

❖ სახანძრო სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო შენობის ფასადზე მოეწყობა სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი.
- მისაერთებელთან დაცულია 0,8მ.X0.9მ. თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 პუნქტის მოთხოვნას.

გასათვალისწინებელი საკითხები:

- *სახანძრო მისაერთებლები უნდა განთავსდეს NFPA-ის სტანდარტების შესაბამისად.*
- *სახანძრო მისაერთებლების მდებარეობა შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.*
- *ჰიდრანტების (წყლის ასაღები წერტების), საავტომობილო გზების, შენობებისა და ლანდშაფტის გათვალისწინებით სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ სისტემასთან მიერთებულმა სახანძრო აპარატურამ და სახელოებმა სხვა სახანძრო აპარატურას არ ჩაუხერგოს შენობასთან*

მისასვლელი. სახანძრო მისაერთებლების მდებარეობა შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.

- *სახანძრო მისაერთებლებთან მისასვლელი ყოველთვის თავისუფალი უნდა იყოს და არასოდეს ჩაიხერგოს ღობეებით, ბუჩქებით, ხეებით, კედლებით ან სხვა მსგავსი ობიექტებით. სახანძრო მისაერთებლებთან მისადგომი შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.*

7. გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- 1021.2(2)-ე ცხრილის შესაბამისად, საპროექტო დავალებით გათვალისწინებული შენობას ემსახურება ორი გზა-კარი.

❖ გასასვლელთან მისადგომისადმი მოთხოვნები:

- ყველა დაკავებული სივრცის გასასვლელთან მისადგომის გზა-კარის რაოდენობა და მდებარეობა შეესაბამება 1015-ე ქვეთავს.
- თითოეული სივრცისთვის, კარის გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად თითოეული ფართისთვის და სართულისთვის დაკავებულობის დატვირთვის მაჩვენებელი გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის 5.1 მმ ფაქტორზე. ზემოაღნიშნული გამოთვლით მიღებულია დასაშვებ მინიმუმზე (0.82მ) ნაკლები სიგანის კარი, თუმცა პროექტით წარმოდგენილი არცერთი კარის სიგანე არ არის დასაშვებ მინიმუმზე ნაკლები.
- გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკები აკმაყოფილებს 1014.3 ცხრილის მოთხოვნებს.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით გათვალისწინებულ ნორმებს;

შენიშვნა:

- *დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს დერეფნები, გასასვლელის გზა-კიბეები, გასასვლელის გზა-დერეფნები და შენობიდან გამოსასვლელები.*
- *მთელ შენობაში გათვალისწინებული იქნას შესაბამისი ნიშანთა სისტემის განთავსება, რომელიც უზრუნველყოფს შენობაში მყოფი ადამიანების მარტივ თვითევაკუაციას.*

8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მისაწვდომობის შეფასება:

- შენობის ყველა შესასვლელის მისაწვდომია, რაც შეესაბამება და აღემატება 1105.1 პუნქტის მოთხოვნას. სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლა-გეზი;
- შშმ პირთა გადადგილება შენობამდე და პირიქით შესაძლებელია დაუბრკოლებლად ;
- შენობაში გათვალისწინებულია ერთი მისაწვდომი ტუალეტი, რომელიც აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს;
- ტერიტორიაზე მოწყობილია 1 (ერთი) შშმ პირთათვის მისაწვდომი ავტოსადგომი, რაც შეესაბამება 1106.1 ცხრილის მოთხოვნას.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსებულია მისაწვდომ ტუალეტთან, შესაბამისი ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის წარწერით, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს;

9. წყალსადენი სისტემების შეფასება:

შენობაში გათვალისწინებული წყალსადენი სისტემების რაოდენობა სწორად არის განსაზღვრული და მათი რაოდენობა სრულად აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს, შესაბამისი სახით:

ზემოაღნიშნულ არცერთ წყალსადენთან მისადგომი ბილიკის სიგრძე არ აღემატება 150 მ-ს, რაც შესაბამისობაშია 1602.3.2-ე პუნქტის მოთხოვნასთან.

შენობაში გათვალისწინებულია წყლის დასალევი დისპენსერის და სამომსახურეო ნიჟარის მოწყობა.

შენიშვნა:

- *საზოგადოებრივ მოწყობილობებს სქესის აღმნიშვნელი ნიშნები უნდა ჰქონდეს.*
- *ნიშნები თვალსაჩინო ადგილას უნდა ეკიდოს თითოეული ტუალეტის შესასვლელთან ახლოს.*

10. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- შენობის „2-6“ და „ა-ვ“ ღერძებს შორის მოქცეული გარე კედელი არის სენდვიჩ-პანელის. ამ კედელს, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის გათვალისწინებით (1.0 მ-ზე ნაკლები), 602 ცხრილის მიხედვით, ესაჭიროება 2 საათიანი ხანძარმედეგობის ხარისხი, რაც პროექტით გათვალისწნებულია. პროექტის ავტორის განმარტებითი ბარათის თანახმად სენდვიჩპანელი უზრუნველყოფს 2 საათიან ხანძარმედეგობას. პროექტს თან ახლავს საფასადე კედლის ფრაგმენტული ნახაზი.

შენიშვნა:

- *გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.*
- *გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 601, 602 და 705.8 ცხრილებთან და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.*

10. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- სახურავის სტრუქტურის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 601-ე ცხრილის მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად.
- საპროექტო შენობის სახურავი არის ქანობიანი (16%) და მისი კონსტრუქცია აწყობილია ლითონის მილკვადრატებით. რაც შეეხება სახურავის ბურულს, რომელიც ამავე დროს ფენილიცაა, გახლავთ სენდვიჩ-პანელის;
- სახურავზე მოწყობილია პარაპეტი 705.11 პუნქტის შესაბამისად;

შენიშვნა/რეკომენდაციები:

ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში (მათ შორის პარაპეტის), წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში/ ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა. შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით ან, სულ მცირე, 40 ზომის პლასტმასის მილებით უნდა აიგოს.

11. შიგა გარემოსადმი მოთხოვნების შეფასება.

- ყველა გამოყენებული სივრცე ნიავდება ბუნებრივი და მექანიკური განიავებით, რაც შეესაბამება 1203-ე ქვეთავს.
- ბუნებრივი განიავების მიზნით მოწყობილი ღიობების მინიმალური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში არ არის გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ზე ნაკლები, რაც შესაბამისობაშია 1203.4.1 პუნქტის მოთხოვნას.
- ყველა ტუალეტი ნიავდება მექანიკური განიავებით;
- წყლის ავზის და სატუმბი ოთახები ნიავდება მექანიკური განიავებით;
- წარმოდგენილი ჭრილების მიხედვით, დაკავებული სივრცეებისა სიმაღლე არ არის 2,3მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 პუნქტის მოთხოვნას.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N118-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ 01.13.05.002.054) დაპროექტებული სავაჭრო ცენტრის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან.

ექსპერტი
ირინე ანთელავა



შენიშვნა:
„2-6“ და ,,ა-ვ“ ღერძებს შორის საფასადე მასალას - სენდვიჩპანელს უნდა გააჩნდეს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, რომელიც დადასტურებული იქნება შესაბამისი სერტიფიკატით.

ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N118-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ 01.13.05.002.054) დაპროექტებული სავაჭრო ცენტრის არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან -„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“- შესაბამისობის დადგენის მიზნით

ექსპერტი: ირინე ანთელავა



საექსპერტო შეფასება მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- ✓ მისაწვდომი სვლაგეზები (მისაწვდომი სვლაგეზები, კარი);
- ✓ წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები (ტუალეტის ოთახი, უნიტაზი, ხელსაბანი და ა.შ);
- ✓ საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები (ნიშნები).

1. მისაწვდომი სვლაგეზების შეფასება:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს და კარს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.
- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.
- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.
- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე ძირითად შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- ძირითად საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. კარები, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- -მისაწვდომ სვლაგეზზე მოწყობილია მხოლოდ ტუალეტებში შესასვლელი კარები, რომელთა თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომი ტუალეტის სვლაგეზზე მოწყობილ კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- მისაწვდომი ტუალეტის კარის ზღურბლის სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.
- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, მისაწვდომი ტუალეტის კარის ზედაპირი გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირი კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

2. წყალსადენის ელემენტების და მოწყობილობების შეფასება:

1. მისაწვდომი ტუალეტი შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომი ტუალეტის ოთახში უზრუნველყოფილია T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომი ტუალეტის ოთახის კარი არ იჭრება მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

2. მისაწვდომი ტუალეტის ოთახში განთავსებული უნიტაზი შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- უნიტაზი განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.
- უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.
- უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. მისაწვდომი ტუალეტის ოთახში განთავსებული ხელსაბანი შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად.
- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

- საპროექტო ძირითადი შენობიდან გამოსასვლელებში მოწყობილია განათებული ნიშანი წარწერით - „EXIT“.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო და სქესის აღმნიშვნელი პიქტოგრამები მოწყობილია მისაწვდომი ტუალეტის ოთახის შესასვლელთან. ნიშანი შეესაბამება 703.6.3, 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

1. ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.
- სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.
- ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.
- სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

2. ტუალეტთან მოწყობილ ნიშანში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.

- ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.
- ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.
- შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.
- სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.
- ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

3. ტუალეტთან მოწყობილ ნიშანში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.
- ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.
- ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.
- ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

4. ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.
- მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტურის სამსახური

აქტი:**ა60.01191301**
თარიღი:**10/05/2019**
პინი:**8695**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ცნობა

ეძლევა ირინე ანთელავას (პ/ნ 01024069615) მასზედ, რომ იგი 2011 წლის 22 თებერვლიდან 2011 წლის 29 სექტემბრამდე გადიოდა სტაჟირებას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სანებართვო დეპარტამენტის I და II კლასების შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილებაში, 2011 წლის 29 სექტემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე მუშაობდა სამსახურის დამხმარე ტექნიკური პერსონალის თანამდებობაზე (I და II კლასების შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილება), 2012 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 26 იანვრამდე მუშაობდა სანებართვო დეპარტამენტის III და IV კლასების შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო, 2018 წლის 26 იანვრიდან 2019 წლის 06 მაისამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის III და IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლება საჭიროებისამებრ წარსადგენად.

თამარ გვიჩიანი

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-სამსახურის უფროსის მოადგილე (სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საკითხებში)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
20.12.2011
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 03/11
სფს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE011IB10908901024069615<<<<
9005112F2112208GE0<<<<<<<<<<<2
ANTELAVA<<IRINE<<<<<<<<<<<<<<


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ირინე
IRINE
გვარი / LAST NAME
ანთელავა
ANTELAVA
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მდ / F
პირადი No / PERSONAL No
01024069615
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
11.05.1990
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
20.12.2021
გარათის No / CARD No
11IB10908
ხელმოწერა
SIGNATURE